

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ოქმი №14

2019 წლის 5 ივლისი, 12:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი დამბაშიძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი-გიორგი მანგოშვილი.

-1-

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,

/მომხს: გ. მანგოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0)

გადაწყვიტეს:

შეტანილი იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 01/01/2019, 190020020.35.167.016428).

/დადგენილება №15 თან ერთვის/

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0),

გადაწყვიტეს:

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - 250 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრს“.

/განკარგულება №40-ი თან ერთვის/

-3-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0),

გადაწყვიტეს:

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოფ. ხეჩილის მოსახლეობას შორის დადებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების (სოფ. ხეჩილში მდებარე 15,18 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.09.108) კოლექტიური

იჯარის ხელშეკრულება გააგრძელოს 5 /ხუთი/ წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 740.00 ლარით.

/განკარგულება №39-ი თან ერთვის/

-4-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოფ. ფონის მოსახლეობას შორის დადებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების (სოფ. ფონაში მდებარე 4,33 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.06.277) კოლექტიური იჯარის ხელშეკრულება გააგრძელოს 5 /ხუთი/ წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 210.00 ლარით.

/განკარგულება №39-ი თან ერთვის/

-5-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოფ. ხეჩილის მოსახლეობას შორის დადებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების (სოფ. ხეჩილში მდებარე 33, 13 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.07.128 და 3,85 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.09.119) კოლექტიური იჯარის ხელშეკრულება გააგრძელოს 5 /ხუთი/ წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1790.00 ლარით.

/განკარგულება №39-ი თან ერთვის/

-6-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.


/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - სოფ. პატარაგორში მდებარე, 153385 კვ.მ და 31090 კვ.მ საძოვრების (ს/კ 54.09.52.004; ს/კ 54.09.60.001) სოფელ პატარაგორის მოსახლეობისათვის, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 10 (ათი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე. წლიურ საიჯარო ქირად, 15.33.ჰა მიწის ნაკვეთისთვის განისაზღვროს 750.00 ლარი, ხოლო 3.1 ჰა მიწის ნაკვეთისათვის - 150.00 ლარი.

/განკარგულება №39-ი თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



გიორგი ლამბაშიძე